

# სსიპ- „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ გენერალური დირექტორის

## ბრძანება № 2/73

23 აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტისათვის  
კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების  
თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი  
დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“  
51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის  
მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის  
გაფორმებული 2014 წლის 8 აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი  
მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლის სტატუსი ამ  
ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტს - განჯის/განძის კარს (გელათის სამონასტრო  
კომპლექსი, დავით აღმაშენებლის კარიბჭის ინტერიერი).
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის  
ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტის მონაცემების კულტურისა და ძეგლთა  
დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების  
განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური გაცნობიდან  
ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში  
(მისამართი: ქ. თბილისი, სანაპირის ქუჩა N4).

გენერალური დირექტორის  
მოვალეობის შემსრულებელი

დ. ლომიტაშვილი

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი

№ სხ-2955



1. მოძრავი ობიექტის/ძეგლის სახეობა	სახვითი ხელოვნება, მემორიალური, პალეოგრაფიული
2. ავტორი/სკოლა	კარებზე დატანილ ოსტატის სახელს მეცნიერები სხვადასხვა ვარიაციით კითხულობენ: „ალ-ჰაყყად იბრაჰიმ ბენ უსმან ბენ ანვაიჰი“, „იბრაჰიმ ოსმანის ძემან, ანკვეისძემან“.
3. დასახელება	რკინის კარები (განჯის/განძის კარი)
4. შექმნის დრო და ადგილი	1062-63 წელი ისტორიული ქალაქი განძა/განჯა (დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა).
5. ამჟამინდელი ადგილსამყოფელი	ტყიბულის მუნიციპალიტეტი, სოფ. გელათი. გელათის სამონასტრო კომპლექსი. დავით აღმაშენებლის კარიბჭის ინტერიერი.
6. მასალა, ზომა	ლითონი (რკინა) 3,5 X 1,75 მეტრი
7. ფიზიკური მდგომარეობა	დაზიანებულია წარწერის მცირე ნაწილი და კარის ქვედა მხარე

